ხელშეკრულება N16

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ქ. ხონი 1 თებერვალი 2021 წელი

ერთი მხრივ, ხონის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ლადო ჯურხაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ხონი, თავისუფლების მოედანი N6
საიდენტიფიკაციო კოდი: №244961225
ტელეფონის ნომერი: 0495 222 555
ელ. ფოსტა: khonismeria@yahoo.com
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 300299921

და მეორე მხრივ, ინდ. მეწარმე ,,მამუკა ჯიშკარიანი", წარმოდგენილი მამუკა ჯიშკარიანის (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: ქ. ხონი, ჭავჭავაძის ქ. N104
საიდენტიფიკაციო კოდი: 55001020891
ტელეფონის ნომერი: 597 54 36 71
საბანკო რეკვიზიტები: ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE64LB0112111806949000

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხონის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-ტყის - 60 (სამოცი) m^3-ის ნაწილობრივ დამუშავდა საღუმელე ზომებად (CPV77200000 - სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV77210000 - ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული მომსახურებები) ხელშეკრულების პირობების თანახმად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 375.00 (სამას სამოცდათხუთმეტი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

2.2. ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურეობის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან/და ინვოისის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ხონის მუნციპალიტეტის მერი და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი.

4. მომსახურეობის ადგილი და ვადა

4.1 მომსახურეობა უნდა განხორციელდეს: ქალაქი ხონი-გურამიშვილის ქ.N9-7მ^3
სოფელი გოჩა ჯიხაიში-ადმინისტრაციული შენობის ეზო-14მ^3
სოფელი გუბი- ადმინისტრაციული შენობის ეზო-10მ^3
სოფელი ახალშენი-ნამაშევის უბანი-4მ^3
სოფელი მათხოჯი- ადმინისტრაციული შენობის ეზო-20მ^3
სოფელი ნახახულევი-ადმინისტრაციული შენობის ეზო-5მ^3

4.2 მომსახურეობა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში 2021 წლის 5 თებერვლის ჩათვლით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით და იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში) მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით

6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითად ვალდებულებების შესრულებისგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5 მხარე ვალდებულია 4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7.7 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 6.1 პუნქტით განსაზღვრული საჯარიმო სანქციების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8. დაუძლეველი ძალა

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

10.1 ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონს მე-8 მუხლის შესაბამისად შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის არ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 30 აპრილამდე.

11.2 საქართველოს კანონის ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" თანახმად ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპის მეშვეობით:

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

self governing unit of khoni municipality

Digitally signed by self governing unit of khoni municipality
DN: cn=self governing unit of khoni municipality, 2.5.4.97=NTRGE-244961225, o=[illegible], c=GE
Date: 2021.02.01 14:47:05 +04'00'

მიმწოდებელი:

Mamuka Jishkariani

Digitally signed by Mamuka Jishkariani
DN: cn=Mamuka Jishkariani, serialNumber=55001020891, o=Citizen, c=GE
Date: 2021.02.01 14:48:12 +04'00'